

ჰანდეშია და ზოგადი განათლება საქართველოში



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო



2020 წელი

სარჩევი

შესავალი	5
პანდემიის პირველი ეტაპი (გაზაფხული-ზაფხული).....	6
სკოლამდელი განათლება	6
ზოგადი განათლება.....	7
დისტანციური სწავლების პლატფორმები.....	7
„ტელესკოლა“	8
Microsoft office 365 Teams	9
Microsoft-ი ქართულ ენაზე	9
Online School	9
Minecraft	9
„ვებსკოლა“	10
iSchool	10
ქართულენოვანი Chat-Bot-ი	10
ეროვნული სასწავლო გეგმა	11
შეფასების სისტემა	11

ახალი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები	11
ვსწავლობთ თამაშით	11
ვსწავლობთ მუსიკას თამაშით	12
კომპიუტერული ტექნოლოგიების ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი	12
ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები	12
საგანმანათლებლო ჩეთბოტები მოსწავლეებისათვის..	12
ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	13
ინტერნეტსა და ციფრულ მოწყობილობებზე წვდომა	13
ვებინარები და მხარდამჭერი ტრენინგები ფოკუს-ჯგუფებისთვის	14
მიმდინარე პროგრამები	15
მსჯავრდებულ და ბრალდებულ პირთა განათლება ...	15
სასკოლო კონკურსები	15
კინო სკოლაში.....	15
ინფორმატიკის ოლიმპიადა	15
2020-2021 სასწავლო წელი	20

ახალი სასწავლო წლისთვის მზადება.....	20
სანიტარია და ჰიგიენა	20
რეკომენდაციები სკოლებს.....	21
სკოლების მონიტორინგი/ინსპექტირება	21
დამატებითი ფინანსები.....	22
სასწავლო პროცესის მართვა: საქართველოში 2020-2021	
სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყო.....	22
სწავლა-სწავლებისა და შეფასების სისტემის მორგება	
დისტანციური სწავლების რეჟიმზე.....	23
დისტანციური სწავლების წესი.....	23
დისტანციური სწავლების მოდელები.....	24
დროებითი საათობრივი ბადა.....	24
კომპლექსური დავალებები	24
დისტანციური სერვისების განვითარება	25
ინტერნეტსა და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა.....	25
კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება.....	26



შესავალი

COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის 8 მარტს, საგაზაფხულო არდადეგების დასრულების შემდეგ, საქართველოს სკოლებში სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში არ განახლებულა. 2081 საჯარო და 221 კერძო სკოლის 579 995 მოსწავლემ (519 364 საჯარო და 60 631 კერძო) 2019-2020 სასწავლო წლის ბოლომდე სწავლა დისტანციური ფორმით გააგრძელა. განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის

მიზნით, სამინისტრომ ყველა მოწყვლადი ჯგუფისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება მოახდინა და დროულად განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები, რის საფუძველზეც 2019-2020 წელი აკადემიურად არ გამოცხადებულა. გლობალური პანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად დაასახელა.

პანდემიის პირველი ეტაპი (გაფაფხული- გაფხული)

სკოლამდელი განათლება


- თითოეული სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მათი მშობლების მხარდასაჭერის მიზნით გაიცა არაერთი რეკომენდაცია და შემუშავდა სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსი.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და კოალიციის - „განათლება ყველასათვის“ თანამშრომლობით შეიქმნა 12 ტელეგადაცემა სახელწოდებით „რჩევები მშობლებს“. პროექტის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლებისთვის რეკომენდაციებისა და მრავალფეროვანი აქტივობების სატელევიზიო ფორმატში შეთავაზება.
- დაიწყო მუშაობა სკოლამდელი განათლების რესურსებზე, რომლებიც 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა ინტერესებზეა მორგებული.

- შეიქმნა თვალსაჩინო შემეცნებითი თამაშები და სხვა რესურსები, რომლებიც ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს და გამოიყენება როგორც დისტანციურად, ასევე, პირისპირ კომუნიკაციის დროს.
- საპილოტედ, სკოლამდელი დაწესებულებების საჭიროებათა გათვალისწინებით, შეიქმნა ტრენინგ-მოდული „სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა სკოლამდელი დაწესებულებების 27 წარმომადგენელი.
- მუნიციპალურ დონეზე, საგანმანათლებლო რესურსცენტრების სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის, შეიქმნა ტრენინგ-მოდული „ადრეული განათლების საფუძვლები“ და 2020 წლის ზაფხულში მოხდა აღნიშნული სპეციალისტების გადამზადება.
- ადრეული განათლების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მომზადდა 3 ვებინარი და 6 თამაშისა და აქტივობის ვიდეოინსტრუქციები, რომლებიც სკოლამდელი განათლების ცენტრის **Facebook**-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა. ამასთან, 3 სტატია მომზადდა ელექტრონული გაზეთისთვის - www.mastsavlebeli.ge.

ზოგადი განათლება

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით შექმნილი ვითარების გამო როგორც საჯარო, ასევე, კერძო სკოლები 2019-2020 სასწავლო წლის მარტის თვიდან დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდნენ.

განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ზოგადი განათლების საფეხურზე შემდეგი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება მოხდა:



- სოციალურად დაუცველი მოსწავლეები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები;
- სკოლის მიღმა დარჩენილი მოსწავლეები (მათ შორის, მიუსაფარი ბავშვები);
- ეროვნული უმცირესობები.

დისტანციური სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად ფორსირებულ რეჟიმში მომზადდა და დაინერგა სხვადასხვა დისტანციური პლატფორმა.

შემუშავდა აღნიშნული პლატფორმების გამოყენების შესახებ რეკომენდაციები მასწავლებლებისა და სკოლის დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის.

ონლაინ ფორმატში ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები.

პანდემიის პირველ ეტაპზე სამინისტროს მიერ, დისტანციური სწავლების პროცესში მასწავლებლებელთა ხელშეწყობის მიზნით, მოხდა შესაბამისი სპეციალისტების მობილიზება: მთელი საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი ახალი ტექნოლოგიის ქოუჩი, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე უწევდა დახმარებას მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში დანერგილი ელექტრონული რესურსების ათვისების პროცესში.

დისტანციური სწავლების პლატფორმები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სკოლებს დისტანციური სწავლების სხვადასხვა პლატფორმა შესთავაზა:

„ტელესკოლა“

- სამინისტროსა და საქართველოს პირველი არხის თანამშრომლობით 2020 წლის 30 მარტიდან დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“, რომლის ფარგლებში საქართველოს სატელევიზიო სივრცეში შექმნა ახალი არხი - „პირველი არხი განათლება“.
- პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტელეგაკვეთილების ჩატარებას.
- საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს.
- პროექტის ფარგლებში შემუშავდა შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის (სსსმ).
- სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად ყველა გაკვეთილი უზრუნველყოფილია ქესტური ენის თარგმანით.
- ცალკე საეთერო ბადეა (გაკვეთილების ცხრილი) განსაზღვრული ეროვნული უმცირესობის მქონე მოსწავლეებისთვის (სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე).

- პროექტს შაბათ-კვირას სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი პროგრამები ავსებს.
- მოსწავლეების მშობლების მხარდასაჭერად ჩაიწერა ვიდეოები, სადაც ფსიქოლოგები, სახლის პირობებში არსებული რესურსების გამოყენებით, მაყურებლებს სთავაზობენ აკადემიური და შემეცნებითი უნარების განმავითარებელ სავარჯიშოებს.
- 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში შესაბამისი დარგის სპეციალისტები, ტელეეთერის საშუალებით, აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევდნენ კონსულტაციებს.



Microsoft office 365 Teams

- ყველა საჯარო სკოლის კლასებისა და საგნებისთვის ვირტუალური საკლასო ოთახები შეიქმნა.
- სკოლებისთვის შეიქმნა **Microsoft Office 365**-ის მომხმარებლის პროფილი (528 327 მოსწავლე და 52 124 მასწავლებელი). **Teams**-ში ინტეგრირდა პლატფორმა - www.el.ge.

Microsoft ქართულ ენაზე

- ქართულ ენაზე ითარგმნა **Microsoft**-ის საგანმანათლებლო პორტალი და მასში არსებული საგანმანათლებლო რესურსი.

Online School

- დაიწყო ელექტრონული ჟურნალის დანერგვა - „ონლაინ სკოლა (www.emis.ge)“.
- შეიქმნა ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია - **Online School**.
- ელექტრონულ ჟურნალს დაემატა შესაბამისი მოდულები, რომლებიც საშუალებას იძლევა, აღირიცხოს მოსწავლეთა დასწრება და შეფასება, როგორც პირისპირ, ასევე, დისტანციური სწავლების ფორმატში.

Minecraft

- საქართველოს მასშტაბით 100 - მდე მასწავლებელი და V-X კლასების 1500-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო **Minecraft**-ის

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
EMIS-თან ერთად სკოლებს დისტანციური სწავლებისთვის

Microsoft-ის 15-ზე მეტი

პროგრამის გამოყენებას სთავაზობს

საპილოტე პროექტში. პლატფორმა სხვადასხვა საგნის სწავლების პროცესში გამოყენებული იქნა, როგორც შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის, ასევე, კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

„ვებსკოლა“

- პროექტ „ვებსკოლის“ ფარგლებში აბიტურიენტებისთვის ჩატარდა ვებინარები.
- 2 თვის განმავლობაში აბიტურიენტებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, 400 - მდე ვებინარი ჩატარდათ ყველა საგანში, რომლებსაც ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებდნენ.

iSchool

- პროექტ iSchool-ის ფარგლებში სხვადასხვა საგანში, I-XII კლასის მოსწავლეებისთვის, შეიქმნა კომპლექსური საშინაო დავალებების კრებულები, რომლებიც განთავსდა ელექტრონული ბიბლიოთეკის პორტალზე - <https://el.ge/projects/iskola>. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, დამოუკიდებლად მუშაობის მიზნით, ასევე, მასწავლებლებისთვის.

ქართულენოვანი Chat Bot-ი

- დაიწყო ინტერაქტიული ქართულენოვანი Chat Bot-ისა და ელექტრონული ჟურნალის ინტეგრირება Microsoft Teams-ში.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული „დისტანციური სწავლა-სწავლების კვლევის“ თანახმად, მოსწავლეების 30% ტელესკოლის სხვადასხვა საგნის ყველა გაკვეთილს უყურებდა. იმ მოსწავლეების 70%, რომელიც ტელესკოლას უყურებს, ამბობს, რომ ტელესკოლის გაკვეთილები საინტერესო და სახალისო იყო; შედარებისთვის, მოსწავლეთა მშობელების 57,3% ამბობს, რომ ტელესკოლა საინტერესო იყო.



ეროვნული სასწავლო გეგმა

- სამედიცინო უნივერსიტეტისა და ჯანდაცვის სფეროს მუშაკების რეკომენდაციის საფუძველზე, დისტანციურ სასწავლო პროცესში, მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების მაქსიმალური რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა:

კლასი	I-III	IV-V	VI-VIII	IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული დღეში)	1 სთ.	1 სთ.	1.5 სთ.	1.5 სთ.	2 სთ.

ასევე, განისაზღვრა ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა:

- ა) I-IV კლასებში – 20 წუთი;
- ბ) V-IX კლასებში – 30 წუთი;
- გ) X-XII კლასებში – 40 წუთამდე.

შეფასების სისტემა

პანდემიის პირობებში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატში გადასვლასთან დაკავშირებით:

- მომზადდა მოზარდის სარეკომენდაციო დატვირთვის, სასკოლო საათობრივი ბადისთვის დადგენილი მოთხოვნების, ქულების გამოანგარიშების წესისა და გაცდენების აღრიცხვის დოკუმენტი.
- მასწავლებლებს გაეგზავნათ დეტალური ინსტრუქციები და გაიდლაინები, როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის განმავითარებელი შეფასება კომპლექსური დავალების საფუძველზე.
- შემუშავდა შეფასების ალტერნატიული გზები, რაც მიმდინარე სასწავლო წელს მიღებული ქულების წლიურ ქულად განსაზღვრას ითვალისწინებს.

ახალი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, სკოლის მასწავლებელთა ჩართულობით, შემუშავდა ახალი ტიპის საგანმანათლებლო რესურსები.

ვსწავლობთ თამაშით

რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“

გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით შეიქმნა. სკოლებში მისი დანერგვის პირველი ეტაპზე, მასწავლებლების მოსაზრებების გათვალისწინებით, რესურსის შინაარსში ცვლილებების შეტანა განხორციელდა. დღეს მასწავლებლები შემუშავებულ მასალას აქტიურად იყენებენ.

ვსწავლობთ მუსიკას თამაშით

რესურსი „ვსწავლობთ მუსიკას თამაშით“ პირველად სკოლებში 2020 წელს შევიდა და შინაარსიდან გამომდინარე, მისი გამოყენება არა მხოლოდ მუსიკის გაკვეთილზე, არამედ სხვადასხვა საგნებშიც არის შესაძლებელი.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი

რესურსი მოიცავს კომპიუტერული ტექნოლოგიების (ისტ-ის) ახალი სტანდარტით გათვალისწინებულ აქტივობებს და სრულად ფარავს II-III-IV-V კლასებს. რესურსი შემუშავებულია ისე, რომ მოსწავლე გადის გარკვეულ ნაბიჯებს, ასრულებს მცირე მოცულობის დავალებებსა და იღებს ცოდნას, რის საფუძვლზეც შესაბამის კომპლექსურ დავალებას ასრულებს. რესურსშივე გვხვდება ტერმინების განმარტებები და ინტერაქციული თამაშები.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები

ელექტრონული რესურსები IV კლასის მოსწავლეებისათვის არის შექმნილი. თუმცა, მასწავლებელს მათი გამოყენება სხვა კლასებშიც შეუძლია. კომპიუტერული ტექნოლოგიების ელექტრონული რესურსის მსგავსად, აღნიშნული რესურსიც იმ ახალი მიდგომების მიხედვით არის შექმნილი, რომელიც კიმპლექსური დავალების შესრულებას ითვალისწინებს.

საგანმანათლებლო ჩეთბოტები მოსწავლეებისათვის

ჩეთბოტები ბავშვებს ეხმარება, განავითარონ ონლაინ კომუნიკაციის უნარები, რომლებიც მათ სხვადასხვა სოციალურ ქსელში უსაფრთხო კომუნიკაციისთვის სჭირდებათ. საგანმანათლებლო ჩეთბოტებს მოსწავლეების კითხვებზე პასუხის გაცემა და მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების შეთავაზება შეუძლიათ. მომავალში იგეგმება ქართული გრამატიკის ელექტრონული რესურსის შექმნა. თუკი საბუნებისმეტყველო საგნებში ელექტრონული რესურსების შექმნაზე სხვა ქვეყნებშიც მუშაობენ და მათი გამოყენება ყველაგან

შესაძლებელია, ქართული გრამატიკის ელექტრონული რესურსისა და ამ მიმართულებით თანამედროვე მიდგომების შემუშავება საქართველოში უნდა განხორციელდეს.

- შესაძლებელია, ქართული გრამატიკის ელექტრონული რესურსისა და ამ მიმართულებით თანამედროვე მიდგომების შემუშავება საქართველოში უნდა განხორციელდეს.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრმა დისტანციური მუშაობის საშუალებით სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია საჯარო სკოლების მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს.
- კარანტინის დროს მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებდა 24-საათიანი ცხელი ხაზი: 08 00 00 88. საჭიროების შემთხვევაში, 6-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებსა და 13 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარებს კვალიფიციური ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქიატრების მიერ ონლაინ კონსულტაცია უტარდებოდათ.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის უზრუნველყოფილი იყო სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის, ასევე სხვა სპეციალისტების მომსახურება.

ინტერნეტსა და ციფრულ მოწყობილობებზე წვდომა

- სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ მიერ 2020 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემაში 528,426 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, მათგან 12%-ს (63,272 მოსწავლე) სახლიდან არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, ხოლო 14%-ს (71,796 მოსწავლე) კი არ ჰქონდა კომპიუტერული მოწყობილობა. ეს ბოლო მაჩვენებელი, გარკვეულწილად, ნებუკების მწყობრიდან გამოსვლის წლიური (პროცენტული) მაჩვენებლის გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას. დანარჩენი მოსწავლეებიდან ერთ ნაწილს წვდომა ჰქონდა როგორც ფიქსირებულ, ასევე, მობილურ ინტერნეტზე. მთლიანობაში, ამ ორი ურთიერთგადამფარავი ჯგუფიდან, მოსწავლეთა 88%-ს წვდომა ჰქონდა ფიქსირებულ ინტერნეტზე, ხოლო 53% -ს კი მობილურ ინტერნეტზე.

- აღნიშნული მაჩვენებლები თანხმობაშია სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2020 წლის ივნისის თვის პირველ ნახევარში ჩატარებული „დისტანციური სწავლა-სწავლების კვლევის“ მონაცემებთანაც, რომლებიც ცხადყოფს, რომ COVID-19-ის პანდემიამდე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით (სახლში, ან სკოლაში) გამოკითხულ მოსწავლეთა 79,2%-ი სარგებლობდა.

- მასწავლებლების უსაფრთხო პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (tpdc) ტრენინგების პროგრამა მასწავლებლებს სთავაზობს დისტანციურ და თვითრეგულირებად ტრენინგებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი და შინაარსობრივი (ინკლუზიური განათლება, ზოგადი პროფესიული უნარები) მიმართულებით.

ვებინარები და მხარდაჭერი ტრენინგები ფოკუს-ჯგუფებისთვის

- ტრენინგები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს 3 ძირითად ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმაზე: **Teams**, **Edex** და **E-courses.tsu.ge**. 2020 წლის ბოლომდე 5500-მდე მასწავლებელი გადამზადდება.

- ზოგადი განათლების ყველა საგნის მასწავლებლისთვისა და სკოლის ლიდერებისთვის ჩატარდა 118 ვებინარი, რომელიც ყოველდღიურად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის **Facebook**-ის ოფიციალურ გვერდზე ქვეყნდებოდა. ჯამში ვიდეოებს მილიონზე მეტი ნახვა აქვს.

- ჩატარდა ვებინარები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის **Microsoft Office 365**-ის გამოყენების შესახებ.

- შეიქმნა სატრენინგო მოდული „დისტანციური სწავლება მაიკროსოფტის რესურსების გამოყენებით“.



მიმდინარე პროგრამები

მსჯავრდებულ და ბრალდებულ პირთა განათლება

- დისტანციურად წარიმართა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული 50-მდე მსჯავრდებული და ბრალდებული მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება. მასწავლებლების მიერ შემუშავდა ალტერნატიული ფორმატის სასწავლო გეგმები და მოსწავლეებს დადგენილი განრიგით მიეწოდათ ელექტრონული რესურსები, რომელთა გაზიარება მოსწავლეებისთვის მოხდა პენიტენციურ დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით.

სასკოლო კონკურსები

- დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა სამი სასკოლო კონკურსი: ესეების კონკურსი თანასწორობისა და მრავალფეროვნების საკითხებზე, ბლოგების კონკურსი „ჩვენი ენა ქართული“ და ფოტო კონკურსი „ფოტომბები პანდემიის დროს“. გამარჯვებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

კინო სკოლაში



- კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ვებპლატფორმაზე „კინოს კუთხე“ (THE FILM CORNER) განხორციელდა პროექტი „კინო სკოლაში“, რომელშიც ჩართული იყო გადამზადებულ კინოსპეციალისტთა ჯგუფი. სასწავლო რესურსი განკუთვნილია 13–19 წლის მოზარდებისთვის და აერთიანებს შემდეგ თემებს: კადრის შექმნა, გამოსახულების გაჭრა, კადრსმიღმა მოქმედება, მონტაჟი, პარალელური მოქმედება, ხმა, პერსონაჟის შექმნა და ა.შ. აქტივობაში ჩაერთო 240-მდე მოსწავლე.

ინფორმატიკის ოლიმპიადა


- 2020 წლის სექტემბერში საქართველომ უმასპინძლა ევროპის ინფორმატიკის (EJOI 2020) მე-4 ახალგაზრდულ ოლიმპიადას, რომელიც ონლაინ რეჟიმში წარიმართა.




დისტანციურ გაკვეთილზე გამოყენებული ელექტრონული მოწყობილობები




დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები) საბაზო საფეხური (VII-IX კლასები) საშუალო საფეხური (X-XI კლასები)



დისტანსიური სწავლებისას მასწავლებლების მიერ გამოყენებული პროგრამები




მასწავლებლების ხელმისაწვდომობა ტექნიკურ მოწყობილობაზე




■ ხელმისაწვდომი არ იყო ■ ხანდახან ხელმისაწვდომი იყო ■ ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო

ბელარუსის გაკვეთილების ნახვის სიხშირე საგნების მიხედვით

■ უყურებდა ზოგიერთ გაკვეთილს ■ უყურებდა ყველა გაკვეთილს



დისტანციური სწავლებისთვის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა



სამინისტროს გადაწყვეტილების უფასობა

■ სოფელი ■ სხვა ქალაქი ■ თბილისი ■ სულ ■ საჯარო ■ კერძო

ვფიქრობ, აჯობებდა COVID-19-ის პანდემიის დროს 2019-2020 წასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი აკადემიურად გამოცხადებულიყო



ვიზიარებ სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის დაწყების გადაწყვეტილებას



ვფიქრობ, სწავლის შედეგების თვალსაზრისით 2019-2020 წასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი მაინც აკადემიურად ითვლება



ვფიქრობ, რომ ტელესკოლის პროექტმა ხელი შეუწყო, რომ 2019-2020 წასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი აკადემიურად არ გამოცხადებულიყო



2020-2021 სასწავლო წელი:

ახალი სასწავლო წლისთვის გზადება

სანიტარია და ჰიგიენა

- ყველა სკოლა 2020 წლის 15 სექტემბრამდე ცენტრალიზებულად მომარაგდა როგორც პირბადეებით, თერმომეტრებით, დეზობარიერებით და დეზობარიერის გასაწავებელი სითხეებითა, ასევე, ხელის სადეზინფექციო სითხეებითა და დისპენსერებით.

- სამინისტრომ, საჭიროების შესაბამისად, სკოლები ბიოტუალეტებით უზრუნველყო.
- დამტკიცდა სკოლების მოვლა-პატრონობის სტანდარტი.
- ზოგიერთი საჯარო სკოლის მიერ საჭირო რაოდენობის რეცხვის, ქიმიკატებისა და სანიტარული საგნების შეძენის მიზნით, „56 17 – StopCoV ფონდიდან“ მოხდა შესაბამისი ოდენობის თანხების გამოყოფა. სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდნენ საჯარო სკოლები, რომლებმაც მოითხოვეს დამატებითი დაფინანსება სხვადასხვა სახის ჰიგიენური საშუალებების, წყლის ავზებისა და წყლის დისპენსერების შეძენისთვის.
- სკოლებში გამოიყო ე.წ. ცხელების ოთახები მოსწავლეებში სიცხის დაფიქსირების შემთხვევებისთვის.



რეკომენდაციები სკოლებს

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების 37-ე დანართით დამტკიცდა ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
- რეკომენდაციები მოიცავს ყველა აუცილებელ მიმართულებას: სკოლის დასუფთავება და ჰიგიენა, სკოლის სივრცეში გადაადგილება, სასწავლო პროცესის ორგანიზება, დისტანციის დაცვა, კვების პროცესი, მოსწავლეთა ტრანსპორტირება, ბიბლიოთეკის ფუნქციონირება, სკოლა-პანსიონების ფუნქციონირება, სანიტარული კვანძის დასუფთავება, სამედიცინო პერსონალის ფუნქციები, მოსწავლისა და მშობლის ვალდებულებები, სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების ჩამონათვალი, პირველადი სამედიცინო დახმარება და აუცილებელი ფარმაცევტული საშუალებები, მოსწავლეთა თერმოსკრინინგის აღრიცხვის ბარათი.
- **World Vision** საქართველოსთან თანამშრომლობით, სკოლის პერსონალისთვის მომზადდა პრაქტიკული გზამკვლევი

- „სკოლები პანდემიის დროს“, რომელიც დაეხმარება სკოლის დირექციას, ადმინისტრაციისა და მასწავლებლებს, ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით, მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართონ საგანმანათლებლო პროცესი.
- სკოლებში გამოიკრა საინფორმაციო პლაკატები პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ჰიგიენის წესების დაცვის თაობაზე.
- დამზადდა და სატელევიზიო ეთერში გავიდა შესაბამისი ვიდეორგოლები. ისინი მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დაწესებული რეგულაციების დაცვაში ეხმარება.


სკოლების მონიტორინგი/ ინსპექტირება

- სამინისტროს ინიციატივით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისა და სხვა უფლებამოსილი უწყებების თანამშრომლობით, სკოლების მონიტორინგის პროცესი განხორციელდა, რომელიც მიმდინარეობდა მასში ჩართული ყველა უწყების აქტიური და კონსტრუქციული თანამშრომლობის პირობებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოხდა ყველა შესაბამისი რეკომენდაციის გათვალისწინება და გადაცდომების გამოსწორება.

დამატებითი ფინანსები

- გაიზარდა სკოლის დამლაგებელთა შრომის ანაზღაურება.
- სამინისტრო აფინანსებს საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების რეაბილიტაციისა და აღჭურვის ხარჯებს. ამ ეტაპზე, 534 საჯარო სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთობლივად შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, შერჩეული სამედიცინო პერსონალი.
- „COVID-19-ის პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებითი დაფინანსება გამოიყო იმ მასწავლებლებისთვის, რომლებსაც, მშობლების მიერ გაკეთებული არჩევანის შესაბამისად, დამატებითი ონლაინ გაკვეთილების ჩატარება მოუწიათ.

სკოლების რაოდენობა-2298



სასწავლო პროცესის მართვა: საქართველოში 2020-2021 სასწავლო წელი 15 სექტემბერს დაიწყო

- ◀ საკლასო ოთახებში სწავლა დაიწყო 1581-მა სკოლამ;
- ◀ დისტანციურ რეჟიმში სწავლა დაიწყო 700-მა სკოლამ (საჯარო - 528, კერძო - 172);
- ◀ სწავლა გადაიღო 17 სკოლაში (2 ეპიდსამსახურის რეკომენდაციით, 12 რეაბილიტაციის გამო, 2 კოვიდინფიცირებულითა რაოდენობის გამო).

- თითოეული სკოლის სპეციფიკისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რითიც ყველა სკოლას საშუალება მიეცა, ინდივიდუალური შესაძლებლობების, მოსწავლეთა რაოდენობისა და სასკოლო ფართს შორის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაეგემა სასწავლო პროცესი.

- შემუშავდა მკაცრი გაიდლაინი დირექტორებისთვის - თუ როგორ და რა შემთხვევაში უნდა გადავიდეს სკოლა დისტანციური სწავლების რეჟიმზე სკოლაში კოვიდის დადასტურების შემთხვევაში.
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭო დაკომპლექტებულია მინისტრების, ექიმების, ეპიდემიოლოგებისა და სხვა პროფესიონალებისგან) 2020 წლის სექტემბრის ბოლოდან, აჭარის გარდა, საქართველოს ყველა საჯარო სკოლის I-VI კლასის მოსწავლე დაბრუნდა სკოლაში (მშობელს მიეცა საშუალება, არჩევანი გაეკეთებინა პირისპირ, ან დისტანციურ სწავლებას შორის), ხოლო თბილისის სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეებმა სწავლა დისტანციურ ფორმატში გააგრძელეს.

- გართულებული ეპიდემდგომარეობის გამო, დიდ ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, თელავში, ზუგდიდში, ზესტაფონში, გორში, ფოთში, მარნეულსა და გარდაბანში) პირველი სემესტრი დისტანციურ რეჟიმში დასრულდება.

სწავლა-სწავლებისა და შუფასაბის სისტემის მორგება დისტანციური სწავლების რეჟიმში

დისტანციური სწავლების წესი

- დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი, რომლის მიხედვით სკოლებს მიეცა საშუალება, აერჩიათ დისტანციური სწავლების სხვადასხვა მოდელი. განისაზღვრა მოსწავლეთა ყოველდღიური დატვირთვა და სასკოლო საათობრივი ბადაე. ასევე, სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, სკოლებს მიეცა უფლება, დისტანციური სწავლების დროს, სპეციალური



საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკითა და განსაზღვრული დროით შესთავაზონ სკოლის სივრცეში სპეციალური მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტების მომსახურება.

დისტანციური სწავლების მოდელები

სკოლები თვითონ ირჩევენ მათთვის ხელსაყრელ მოდელებს:

ა) სრულად ელექტრონული, სინქრონული - საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვა;

ბ) სრულად ელექტრონული, ასინქრონული - ტელე/ვიდეო გაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლება;

გ) ჰიბრიდული - სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენება, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განყოფილების მიხედვით.

დროებითი საათობრივი ბადე

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილების საფუძველზე 2020 წლის 30 მარტიდან, დისტანციური სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლა თავად განსაზღვრავს დროებით საათობრივ ბადეს ისე, რომ ის ითვალისწინებდეს სასწავლო წლის დასაწყისისთვის დამტკიცებულ ყველა საგანს.

კომპლექსური დავალებები

- სკოლას, კლასების მზაობისა და საჭიროების შესაბამისად, მოსწავლეების მხოლოდ კომპლექსური/შემაჯამებელი დავალებებით შეფასების შესაძლებლობა მიეცათ.
- სწავლა-სწავლების პროცესში გაიზარდა კომპლექსური დავალებების როლი. მომზადდა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და გზამკვლევები ყველა საგნისთვის, სადაც კომპლექსური დავალებების კონკრეტული ნიმუშებთან ერთად დავალების შექმნის ალგორითმიც არის მოცემული.

დისტანციური სერვისების განვითარება

- დამტკიცდა „ციფრული ტრანსფორმაციის“ პროგრამა, რომლის მიზანია ციფრული რესურსების განვითარებასა და დანერგვაზე მუშაობა.
- დაიწყო ელექტრონული ჟურნალის დანერგვა, რაც გულისხმობს როგორც პირისპირ, ასევე, დისტანციური მოდულების ინტეგრირებას მოსწავლეთა აღრიცხვისა და შეფასების მიზნით.

შეიქმნა ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონალები:

- „ჟურნალი“ - ფუნქციონალში აისახება მოსწავლის დასწრება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
- „კალენდარი“ - ფუნქციონალში აისახება სკოლის ღონისძიებები, გაკვეთილების ცხრილი, გამოცდები.
- „დამოუკიდებელი სამუშაო“ - ფუნქციონალში აისახება მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ისტორია.
- „სტატისტიკური ინფორმაცია“ - ფუნქციონალში აისახება მოსწავლეების შეფასებებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.
- „შეტყობინება“ - შეტყობინების გაგზავნა და მიღება სხვადასხვა როლის მქონე მომხმარებლისგან.

- „აქტივობები“ - ფუნქციონალში აისახება მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობების ისტორია.
- „მანდატურები/ფსიქოლოგები“ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების სისტემაში ასახვა/სკოლის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ინტერნეტსა და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა

- გაფორმდა მემორანდუმი ინტერნეტის პროვაიდერ კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის სპეციალური პაკეტის შეთავაზება მოხდა. გადაიხედა სკოლების კომპიუტერებითა და პირველკლასელთა ბუკებით უზრუნველყოფის პროგრამა.

როგორ გავიაროთ ავტორიზაცია ელექტრონულ ჟურნალში

მასწავლებელი

სისტემაში მესასვლელად გამოიყენეთ Microsoft 365-ის მომხმარებლის მონაცემები: თქვენი ელ. ფოსტა და პაროლი

მშობელი

საჭიროა სისტემაში რეგისტრაციის გავლა მშობლის პირადი ნომრით

კანონმდებლობა

ინსაიდის, რომ შექმნილი სისტემაში რეგისტრაცია, ავტორიზაცია და მშობლის ავტორიზაციის მიერ, უნდა იყოს ასახული მშობლის მონაცემები

საგარეო უსაფრთხოების სერვისები

პროგრამა. აქცენტი გაკეთდა სკოლების ტექნოლოგიურ გაძლიერებაზე. აღნიშნული საკითხები 2021 წლის პროგრამების და შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვისას იქნა გათვალისწინებული.

- გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიუსაფარ ბავშვთა ყველა ცენტრს გადაეცა ონლაინ სწავლებისთვის აუცილებელი ტექნიკა (ლექტორები, პრინტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი და სხვა წვრილი კომპიუტერული ტექნიკა).


კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება

- მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის ჩატარდა ვებინარი „კიბერჰიგიენა“.
- **Facebook**-ზე გაკეთდა კამპანია „ინფორმაციული უსაფრთხოება ონლაინ განათლებაში“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სხვადასხვა სახის პოსტები და შემაჯამებელი **Facebook Live**-ი.



- აქტიურად მიმდინარეობდა სატელევიზიო კამპანია „ინფორმაციული უსაფრთხოება ონლაინ განათლებაში“.
- სამინისტროს მხარდაჭერით, მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს კიბერბულინგის საკითხთან დაკავშირებით ორგანიზებულ ანტი-ბულინგის კამპანიაში.
- შემოწმდა ონლაინპლატფორმა **Feedc**-ის უსაფრთხოების შესაბამისობა და მომზადდა სარეკომენდაციო დოკუმენტი.
- შემოწმდა იმ ონლაინ რესურსების უსაფრთხოების შესაბამისობა, რომლებსაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მის მომხმარებლებს აწვდის.
- აქტიურად მიმდინარეობს უსაფრთხოების სისტემების მონიტორინგი და ხდება შესაბამისო კონფიგურაციები: მავნე გვერდებისა თუ აპლიკაციების დაბლოკვა.
- შემოწმდა ელექტრონული ჟურნალის უსაფრთხოების შესაბამისობა.

ნოეზარში სამინისტროს მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგები:

ონლაინ სწავლების პროცესში ჩართული მასწავლებლების 97%-ს ინტერნეტთან და ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის პრობლემა არ აქვს.



ონლაინ სწავლების პროცესში ჩართული მოსწავლეების 94%-ს ინტერნეტთან და ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის პრობლემა არ აქვს.





2020-2021 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესის შეფასების მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ჩატარდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვა (კვლევაში მონაწილეობდა 376 მშობელი). კვლევის პროცესში გაკვეთილები დასწრებით 139 მოსწავლეს, ხოლო დისტანციურად 234 მოსწავლეს უტარდებოდა. დასწრებით სწავლებაში ჩართული 135 მოსწავლე თანაკლასელებთან ერთად მონაწილეობდა საკლასო აქტივობებში, ხოლო ონლაინ სასწავლო პროცესში ჩართული 176 მოსწავლე კლასთან ერთად ესწრებოდა ონლაინ გაკვეთილებს.

ონლაინ სწავლების პროცესში მოსწავლე ჩართულია კლასთან ერთად

საშუალებები, რომლითაც იღებენ დისტანციური სწავლების მომსახურებას


უქირს დამოუკიდებლად

(TEAMS, ZOOM, FB, messenger, სატელეფონო კომუნიკაცია, ტელესკოლა.)



რამდენად კმაყოფილია მშობელი მიწოდებული სერვისით

(1-ძალიან უკმაყოფილო, 5-ძალიან კმაყოფილი)



- <https://el.ge/>
- <https://el.ge/projects/iskola>
- https://1tv.ge/tv-radio/arkhebi/pirveli-arkhi-ganatileba/?fbclid=IwAR2ntjp_8PLz8MCGi24ebH0QmwToC8YAXbTTBbPORfQ9dwe5JNlfXJ1Cjic